MES 2 21 00001-05/2

29/01/2021

ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N01-05/2

ქ. თბილისი

შემსყიდველი: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, წარმოდგენილი მინისტრის მოადგილის **თამარ ქიტიაშვილის** სახით.
მისამართი: ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. №52;
ტელ.: 2200220
საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა,
კოდი: TRESGE22;
ა/ა GE24NB0330100200165022;
საიდენტიფიკაციო კოდი: 202051224

მიმწოდებელი: სსიპ „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების თარგმნის ბიურო“,
წარმოდგენილი მისი დირექტორის **ნიკოლოზ მემანიშვილის** სახით,
მისამართი: ქ. თბილისი, ჩიტაძის ქ. N4;
ტელ: 591198877;
საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა,
კოდი: TRESGE22
ანგარიშის N 707307066
საიდენტიფიკაციო კოდი 204427753

LEPL Translation Bureau of International Agreements of Georgia
Digitally signed by LEPL Translation Bureau of International Agreements of Georgia
Date: 2021.01.29 21:06:17 +04'00'

ერთი მხრივ - შემსყიდველი და მეორე მხრივ - მიმწოდებელი, საერთაშორისო ურთიერთობებისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის უფროსის 20.01.2021წ. №14263 სამსახურებრივი ბარათის შესაბამისად, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის საქართველოს კანონის მე-10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის 2012 წლის 10 ივლისის №155 ბრძანების (2020 წლის 26 თებერვლის #01-37 ბრძანების ცვლილების) საფუძველზე დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:
1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში – „ხელშეკრულება“) – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
1.3 „დღე“, „კვირა“, „თვე“ – კალენდარული დღე, კვირა, თვე.
1.4 „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
1.5 „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.
1.6 ,,მომსახურება” – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანია საერთაშორისო ხელშეკრულებებისა, სხვადასხვა სახის ანგარიშებისა და დოკუმეტაციის (ქართულიდან უცხო ენებზე და უცხო ენებიდან ქართულ ენაზე) თარგმნა და მათი აუთენტურობის დამოწმების მომსახურების შესყიდვა (CPV79500000).

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **25 000,0 (ოცდახუთი ათასი)** ლარს.
3.2 შესყიდვის ობიექტის ერთეულის ფასები მოცემულია დანართი N1-ში, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს;
3.3 გასაწევი მომსახურების ფასი შეიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯებსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს, დაკავშირებულს მომსახურების გაწევასთან.

4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

4.1 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის შემსყიდველისათვის მიწოდებისას კონტროლის განმახორციელებელი პირი ამოწმებს შესყიდვის ობიექტის შესაბამისობას ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან, რასაც ადასტურებს შესაბამისი დასკვნით.
4.2 ხელშეკრულების 4.1 პუნქტით გათვალისწინებულ კონტროლს განახორციელებს საერთაშორისო ურთიერთობებისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის, საერთაშორისო თანამშრომლობისა და დიასპორასთან ურთიერთობის სამმართველოს პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი **მარიამ რუხაძე.**
4.3 ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებებისაგან.

5. მომსახურების გაწევის ვადები და ადგილი

5.1 მომსახურება უნდა განხორციელდეს წინამდებარე ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან (შემსყიდველის მოთხოვნის საფუძველზე, დანართი N1-ით გათვალისწინებული ვადების შესაბამისად) 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.
5.2 მომსახურების გაწევის ადგილია: ქ. თბილისი.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარებისწესი

6.1 შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მხარეებს შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

6.2 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს საერთაშორისო ურთიერთობებისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის საერთაშორისო თანამშრომლობისა და დიასპორასთან ურთიერთობის სამმართველოს უფროსი ან შესაბამისად უფლებამოსილი პირი.

7. ანგარიშსწორება

7.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში.
7.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ფაქტიურად გაწეული მომსახურების შესაბამისად, მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმების საფუძველზე.
7.3 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება შესაბამისი დოკუმენტაციის ხელმოწერიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.
7.4 დაფინანსების წყარო: „საერთაშორისო ურთიერთობის მხარდაჭერის“ პროგრამა(პროგრამული კოდი 32 01 06).

8. მხარეთა უფლება–მოვალეობები

8.1 მიმწოდებელი პასუხისმგებელია გაწეული მომსახურების ხარისხსა და დროულობაზე.
8.2 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.
8.3 შემსყიდველი ვალდებულია: უზრუნველყოს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.
8.4 შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის კონტროლი.

9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში, დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გაუწეველი მომსახურების ღირებულების 0,2%-ის ოდენობით.
9.2 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ის ოდენობით.
9.3 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების არაჯეროვანი (ნაწილობრივ) შესრულების შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლოს გადახდა შესასრულებელი ვალდებულების ღირებულების 5%-ის ოდენობით.
9.4 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას გადააჭარბებს 10 კალენდარული დღით ან/და არაჯეროვნად შეასრულებს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და ასევე, გამოიყენოს ამ მუხლის 9.3 პუნქტით გათვალისწინებული პირობები.
9.5 მე-7 მუხლის 7.3 პუნქტში მითითებული ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელი უფლებამოსილია შემსყიდველს დააკისროს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.
9.6 დაკისრებული პირგასამტეხლო გადახდილ უნდა იქნას მხარისათვის აღნიშნულის თაობაზე გადაწყვეტილების (წერილი პირგასამტეხლოს დაკისრების თაობაზე) შეტყობინებიდან არაუგვიანეს 1 თვის ვადისა.

10.ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

10.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

10.4 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

10.5 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11. ფორს-მაჟორი

11.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

11.2 ამ მუხლის მიზნებისათვის ,,ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არის დაკავშირებული შემსყიდველის და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით და სხვა.

11.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

12. დავები დამათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ინტერესთა კონფლიქტი

"სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით, წინამდებარე ხელშეკრულებაზე და მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერი და კონტროლის განმახორციელებელი პირები სრულად აკმაყოფილებენ კანონის ამ მოთხოვნას და არ იმყოფებიან ინტერესთა კონფლიქტში მიმწოდებელთან.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2022 წლის 31 იანვრის ჩათვლით, მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებამდე.

14.2 მხარეები ვალდებულნი არიან ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგაც შეასრულონ თავისი ვალდებულებები, თუ ეს ვალდებულებები წარმოიქმნა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

15. ზოგადი დებულებები

15.1 არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება, მეორე მხარისაგან წერილობითი თანხმობის გარეშე თავისი უფლებები ან ვალდებულებები გაასხვისოს ან გადასცეს მესამე პირებს.

15.2 მხარეები თანხმდებიან, რომ ის ურთიერთობანი, რომლებიც არ იქნა დარეგულირებული წინამდებარე ხელშეკრულებით, რეგულირებული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

15.3 ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტაცია, რომლებიც გაიცვლება მხარეთა შორის ფორმდება ქართულ ენაზე.

15.4 მხარეები არსებითად ეთანხმებიან წინამდებარე ხელშეკრულების პირობებს, რასაც ადასტურებენ ხელმოწერით:

შემსყიდველის მხრიდან:
მინისტრის მოადგილე თამარ ქიტიაშვილი

მიმწოდებლის მხრიდან:
დირექტორი ნიკოლოზ მემანიშვილი

LEPL Translation Bureau of International Agreements of Georgia

Digitally signed by LEPL Translation Bureau of International Agreements of Georgia
Date: 2021.01.29 21:06:54 +04'00'

თამარ ქიტიაშვილი
საქართველოს განათლების, მეცნიერების,
კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე

N01-05/2 ხელშეკრულების დანართი №1

N	მომსახურების სახე	მომსახურების ვადა	საფასურის ოდენობა ერთი გვერდისათვის (დღგ-ს გარეშე)	საფასურის ოდენობა ერთი გვერდისათვის (დღგ-ს ჩათვლით)
1	1-დან 15 გვერდამდე მოცულობის მქონე დოკუმენტის თარგმნა და ოფიციალური დამოწმება	7 სამუშაო დღე	25 ლარი	29.50 ლარი
2	16-დან 50 გვერდამდე მოცულობის მქონე დოკუმენტის თარგმნა და ოფიციალური დამოწმება	30 სამუშაო დღე	23 ლარი	27.14 ლარი
3	50 გვერდზე მეტი მოცულობის მქონე დოკუმენტის თარგმნა და ოფიციალური დამოწმება	განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით	23 ლარი	27.14 ლარი
4	1-დან 50 გვერდამდე მოცულობის მქონე დოკუმენტების თარგმანის რედაქტირება და ოფიციალური დამოწმება	7 სამუშაო დღე	5 ლარი	5.90 ლარი
5	50 გვერდზე მეტი მოცულობის მქონე დოკუმენტის თარგმანის რედაქტირება და ოფიციალური დამოწმება	განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით	12.5 ლარი	14.75 ლარი
6	დოკუმენტის აფხაზური ენიდან და აფხაზურ ენაზე თარგმნა და ოფიციალური დამოწმება	განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით	33 ლარი	38.94 ლარი
7	ვიდეო და აუდიო დოკუმენტების თარგმნა და ოფიციალურად დამოწმება	განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით	1 წუთი 50 ლარამდე	59,00 ლარამდე
8	თარჯიმნის მომსახურებით უზრუნველყოფა (სინქრონული თარგმანი და სხვა სახის მომსახურება)	განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით	1 საათი 400 ლარამდე	472.00 ლარამდე
9	სინქრონული აპარატურით მომსახურება	განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით	განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით, გაწეული მომსახურების შესაბამისად	

წინამდებარე დანართის 1-6 პუნქტებით გათვალისწინებული ვადები და ღირებულებები წარმოადგენს ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ, რუსულ, ესპანურ, იტალიურ ენებზე გაწეული მომსახურების ვადებსა და ღირებულებას,
წინამდებარე დანართის 4-6 პუნქტებით გათვალისწინებული ვადები და ღირებულებები წარმოადგენს აფხაზურ ენაზე გაწეული მომსახურების ვადებსა და ღირებულებას, ხოლო დანარჩენ უცხო ენებზე მომსახურების საფასური და ვადები განისაზღვრება ყოველ კონკრეტულ შემთხვევისათვის ინდივიდუალურად 100 ლარამდე ოდენობის ფარგლებში, ასევე წინამდებარე დანართის 7-9 პუნქტებით გათვალისწინებული მომსახურება ვრცელდება ყველა ენასთან მიმართებაში.